

მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები და
მედეგობა COVID-19 პანდემიის დროს

ლუკა გაფრინდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ქეთი ფილაური, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ლუკა გაფრინდაშვილი

28.06.2022

აბსტრაქტი

2 წელზე მეტია რაც მსოფლიოს უწევს კოვიდ 19 პანდემიის პირობებში ცხოვრება. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ კოვიდ 19 და მასთან დაკავშირებული სტრესორები ზრდის ფსიქიკურ აშლილობათა ტვირთს. მიმდინარე კვლევის მიზანი იყო შეესწავლა პანდემიის გავლენა საქართველოს ზოგადი მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და მედეგობის როლი კოვიდ სტრესორებთან გამკლავების დროს.

მიმდინარე კვლევა ლონგიტუდური კვლევის ნაწილია, რომელიც იყენებს განმეორებად ჯვარედინ-სექციური გამოკითხვისა და ე.წ. ჩაბუდებული კოჰორტული კვლევის მეთოდებს. კვლევის პირველი ეტაპი ჩატარდა 2020 წლის მაის-ივნისში, პანდემიის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, ხოლო მეორე ეტაპი - 2021 წლის თებერვალ მარტში. მესამე ეტაპი, ჩატარდა 2022-ის თებერვალ-მარტში და კვლევაში ჩაერთო პირველი და მეორე ეტაპის მონაწილეები, რომლებმაც დატოვეს საკონტაქტო ინფორმაცია და დაადასტურეს კვლევის შემდგომ ეტაპზე მონაწილეობის მიღების სურვილი. კითხვარის თემებს შეადგენდა: დემოგრაფიული ნაწილი, კითხვები კოვიდ სტრესორების სიმძიმის შესახებ, გავრცელებული ფსიქიკური აშლილობის შესაფასებელი სკრინინგ-კითხვარები (GAD-7; PHQ-9; ADNM-8; ITQ;), მედეგობისა და გამკლავების შესაფასებელი კითხვარები.

ლონგიტოდური კვლევის მესამე რაუნდში მონაწილეობა მიიღო 175 მონაწილემ. კვლევამ დაადასტურა შფოთვითი აშლილობისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გავრცელების მაღალი მაჩვენებლები (ქალები 84%; მამაკაცები 74%), ასევე დეპრესიის (ქალები 70%; მამაკაცები 70%), ადაპტაციის აშლილობისა (ქალები 37%, მამაკაცები 44%) და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (ქალები 26%, მამაკაცები 39%) ნიშნების მაღალი პრევალენტობა. სტატისტიკურად მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენდა ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც დაუკავშირდა შფოთვას, დეპრესიასა და ადაპტაციის აშლილობის სიმპტომების მაღალ მაჩვენებელს.

უარყოფითად დაუკავშირდა მედეგობა ფსიქიკური აშლილობის თითოეულ ცვლადს. საპასუხო რეაქციებიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სტრატეგიას წარმოადგენდა სახლის დალაგება, რომელიც უარყოფითად დაუკავშირდა ფსიქიკური აშლილობის რამდენიმე ცვლადს.

ფსიქიკური აშლილობისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გავრცელების მაღალი მაჩვენებლები ასოცირებულია ისეთ კოვიდ სტრესორებთან როგორცაა „ყოველდღიური აქტივობების მაგ: საყიდლებზე სიარულის, გართობის შეზღუდვა“, „სახლიდან მუშაობა“ და „შიში, რომ საყვარელი ადამიანები დაინფიცირდებიან“. ფაქტორების მიხედვით გამოიკვეთა 2 ფაქტორი (ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა), რომელიც ფსიქიკური აშლილობის სიმპტომების ვარიაბილობის სანდო პრედიქტორს წარმოადგენს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კოვიდ 19-ის შიში; დაძლევის სტრატეგიები; მედეგობა; ფსიქიკური ჯანმრთელობა; შფოთვა, დეპრესია, ადაპტაციის აშლილობა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.

Abstract

For 2 years the world has been living under the conditions of the Covid 19 pandemic. Numerous studies have shown that Covid 19 and related stressors increase the burden of mental disorders. The aim of the current study was to investigate the impact of the pandemic on the mental health of the general population of Georgia and the role of resilience in dealing with stressors.

The current study is part of a longitudinal study that uses repetitive cross-sectional surveys known as embedded cohort research methods. The first phase of the study was conducted in May-June 2020, a few months after the start of the pandemic, in which 2088 people participated. In the third round, the participants of the first and second stages were involved in the study, who left contact information and confirmed their desire to participate in the next stage of the research. The topics of the questionnaire included: demographic part, questions

about the severity of Covid stressors, self-report questionnaires on mental health (GAD-7; PHQ-9; ADNM-8; ITQ; BRS) and part of strategies used to deal with Covid stressors.

175 participants participated in the third round of the longitudinal study. High outcomes were observed for anxiety (women 84%; men 74%), depression (women 70%; men 70%), adjustment disorder (women 37%, men 44%), and post traumatic stress disorder (women 26%, men 39%). Statistically significant factors were age and health status, which were associated with high rates of anxiety, depression, and symptoms of adaptive disorder. Resilience was negatively correlated with each variable of mental disorder. One of the statistically significant strategies from the responses was doing housework, which negatively correlated with several variables of mental disorder. High rates of mental illness symptoms are associated with stressors such as "daily activities such as shopping, entertainment", "working from home" and "fear that loved ones will get infected". According to the factors, 2 groups were identified (age and health status), which was a reliable predictor of the variability of the symptoms of mental disorder.

Key words: Fear of Covid 19; Coping strategies; Resilience; Mental health; Anxiety, depression, adjustment disorder and posttraumatic stress disorder.